

თავი 18 კუ და კურდღელი

ჯონათანი ფიქრობდა ქალზე, რომელიც შოუს დაწყებამდე ნახა. იგი ჯონათანს ხელში ფულს აწვდიდა და შემდეგ ისევ უკან ართმევდა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. უეცრად გამოეღვიძა და გაახსენდა, რომ შემოსავლების შესახებ საგადასახადო სამსახურში უნდა განეცხადებინა.

ცხვირში ახლადგამომცხვარი პურის სუნი ეცა. მოხუცებული მაგიდასთან იდგა და ჯემგადასმულ გახუხულ პურებს საუზმისთვის ამზადებდა. ჯონათანმა მაგიდასთან დანადგლიანებული ბიჭი შეამჩნია. მოხუცმა თავისი შვილიშვილი დეივი გააცნო, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასთან დარჩებოდა.

– მე თქვენ მახსოვხართ, – წამოიყვირა დეივიმ.

– ბაბუა, ის მე და დედას დაგვეხმარა, როდესაც ფერმის დატოვება მოგვიხდა.

ამ სიტყვებმა უფრო დადებითად განაწყო ჯონათანი. სანამ იგი სქლად დაჭრილ გახუხულ პურს მიირთმევდა, ბიჭი მოუსვენრად ცდილობდა ცალ-ცალი წინდების მუხლებისკენ აქაჩვას.

– ბებია, ერთხელ კიდევ წამიკითხე ეგ ზღაპარი, – ეხვეწებოდა ის მოხუც ქალბატონს.

– რომელი, საყვარელო? – იკითხა ბებიამ და თან ომლექები ჯონათანის თეფშზე დააწყო.

– ჩემი საყვარელი ზღაპარი – კურდღელზე და კუზე. მანდ ისეთი სასაცილო სურათებია! – წამოიყვირა სახეგაბრწყინებულმა დეივიმ.

– მაშ კარგი... – თქვა როუზმა, სამზარეულოს კარადიდან წიგნი გადმოიღო, პატარა დეივის გვერდით მიუჯდა და დაიწყო.

– იყო და არა იყო რა. . .

– არა, არა, ბებია, დიდი ხნის წინათ . . . – შეაწყვეტინა ბიჭმა.

როუზმა გაიცინა და განაგრძო:

– როგორც ვამბობდი . . . დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა კუ, სახელად ფრენკი და კურდღელი, რომელსაც ლისენდერი ერქვა. ორივე ცხოველი პატარა სოფელში ფოსტალიონად მუშაობდა. ფრენკი, მართალია, არცთუ ისე სწრაფად მოძრაობდა, მაგრამ მახვილი სმენა ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს მან გაიგონა, თუ როგორ აქებდნენ ლისენდერს სწრაფი მუშაობისთვის. იგი რამდენიმე საათში აკეთებდა იმას, რასაც სხვები დღეებს ანდომებდნენ. აღშფოთებული ფრენკი მიხოსდა ცხოველებთან და საუბარში ჩაერია.

– კურდღელო! – განაცხადა მან. – სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ ერთ კვირაში უფრო მეტ კლიენტს მოვიზიდავ, ვიდრე შენ. ჩემი რეპუტაცია ამ სანაძლეოს გარანტი იყოს.

– რაო, რაო? ნიძლავში შენს რეპუტაციას ჩამოდიხარ? რაც უკვე შელახული გაქვს, ის არ შეიძლება ნიძლავში ჩამოხვიდე, – წამოიყვირა კურდღელმა გაცხარებით.

– რა მნიშვნელობა აქვს, მაინც მოგიგებ!

მეზობლები ხარხარით ამბობდნენ, რომ ზღაზნია კუს მოგების შანსი არ გააჩნდა. ამის დასამტკიცებლად შეთანხმდნენ, ზუსტად ერთი კვირის თავზე, ამავე ადგილას გამოეღვინათ გამარჯვებული. ლისენდერი მაშინვე გაიქცა მოსამზადებლად, ფრენკი კი დიდი ხნის განმავლობაში იმავე ადგილზე დარჩა. ბოლოს, როგორც იქნა, დინჯად დაიდრა ადგილიდან. ლისენდერმა მთელს ქვეყანაში განცხადებები გამოაკრა, სადაც ნათქვამი იყო, რომ იგი ნახევარ ფასში გაუწევდა ყველას მომსახურებას. დღეიდან მოყოლებული დღეში ორჯერ მიიტანდა ფოსტას, გარდა ამისა, შაბათ-კვირას და დასვენების სხვა დღეებშიც იმუშავებდა. კურდღელმა მთელი სამეზობლო დაირბინა ზარის წკრიალით, წერილებს არიგებდა, თან მარკებს ყიდდა, ამანათებს ადგილზევე წონიდა და ფუთავდა. უმნიშვნელო დამატებითი ანაზღაურების ფასად იგი მზად

იყო, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ფოსტა მიეტანა. ყოველთვის თავაზიანად ილიმებოდა, მაშინაც კი, თუ დამატებით საფასურს არ უხდიდნენ. კურდღლის კლიენტთა სია სწრაფად იზრდებოდა, ვინაიდან ყველა ხელავდა, რაოდენ შემოქმედებითი, ნაყოფიერი და სასიამოვნო იყო მისი საქმიანობა.

დეივი სურათებს დასცქეროდა და თან ბებიას წიგნის გადაფურცვლაში ეხმარებოდა. ბებიამ განაგრძო:

– არავინ იცოდა, თუ რას აკეთებდა ამ დროს კუ. კეირის ბოლოს გამარჯვებაში დარწმუნებული ლისენდერი მსაჯულებთან სულმოუთქმელად გაიქცა. მისდა გასაოცრად, კუ უკვე იქ ელოდებოდა.

– ვწუხვარ ლისენდერ, – თქვა კუმ თავისი ჩვეული შენელებული საუბრის მანერით. – სანამ შენ სახლიდან სახლში დარბოდი, მე მხოლოდ ამ ერთი წერილის მიტანა დამჭირდა.

ფრენკმა ლისენდერს რაღაც დოკუმენტი და კალამი მიაწოდა, თან დასძინა:

– თუ შეიძლება, აქ ხელი მოაწერე.

– ეს რა არის? – იკითხა ლისენდერმა.

– მეფემ ქვეყნის საფოსტო სამსახურის უფროსად დამნიშნა. ამიერიდან უფლებამოსილი ვარ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა წერილი მე მივიტანო. ვწუხვარ, კურდღელო, მაგრამ უნდა შეწყვიტო ფოსტის მიტანა.

– ეს შეუძლებელია! – ფეხები დააბაკუნა ლისენდერმა, – ეს უსამართლობაა!

– მეფემაც სწორედ ასე თქვა, – უპასუხა კუმ, – უსამართლობაა, როდესაც ზოგიერთ მის ქვეშევრდომს უკეთესი საფოსტო მომსახურება აქვს, ვიდრე სხვებს. ასე რომ, მან ექსკლუზიური მონოპოლია მომანიჭა, რათა უზრუნველყო ყველას თანაბარი მომსახურება.

– როგორ მოახერხე ეს? რა შესთავაზე? – ჰკითხა გაბრაზებულმა ლისენდერმა.

კუს ადვილად გაღიმება არ შეუძლია, მაგრამ ფრენკმა მოახერხა ტუჩის კუთხეების აპრეხვა.

– მეფე დავარწმუნე, რომ იგი ყველა წერილის უფასოდ გაგზავნას შეძლებს. ასევე შევახსენე, რომ თუ მთელი სამეფოს კორესპონდენცია მის ხელში იქნებოდა, იგი ადვილად შეძლებდა, მეამბოხე ქვეშევრდომების გამოვლენას და მათ გაკონტროლებას. წერილებიც რომ დაგკარგო, ვითომ ვინ მიჩივლებს?

– კი მაგრამ, შენ ხომ ყოველთვის კარგავდი ფულს ფოსტის მიტანისას! – განაცხადა გაწბილებულმა კურდღელმა, – ვინ აანაზღაურებს ამას?

– მეფე დააწესებს საფოსტო მომსახურების გადასახადს. თუ ხალხი შეწყვეტს წერილების გაგზავნას, გადასახადებით დაიფარება ყველა ჩემი დანაკარგი. ცოტა ხანში არავის ემახსოვრება, რომ მე ოდესმე მეტოქე მყავდა.

ბებიამ თავი ასწია და თქვა:

– დასასრული, – შემდეგ კი დასძინა, – ამ ამბის მორალი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველთვის შეგიძლია მიმართო ხელისუფლებას, როდესაც რაიმე განსაკუთრებული პრობლემა გექნება.

პატარა დეივიმ გაიმეორა:

– ყოველთვის შეგიძლია მიმართო ხელისუფლებას, როდესაც რაიმე განსაკუთრებული პრობლემა გექნება. ასეც მოვიქცევი, ბებია.

– არა, საყვარელო, ეს წიგნში წერია. უკეთესი იქნება, თუ ამ ამბავში მორალს შენ თვითონ ჩამოაყალიბებ.

– ბებია!

– დიახ, საყვარელო?

– ცხოველებს შეუძლიათ ლაპარაკი?

– მხოლოდ ჩიტები ლაპარაკობენ, პატარავ. ეს მხოლოდ ზღაპარია და არა იგავი „დიდი ბარდის“ შესახებ.

– დიდ ბარდზე მომიყევი, ბებია.

ბებიას ჩაეცინა.

– რამდენჯერ უნდა მოისმინო ეს ისტორია? ბარდი ბრძენი კონდორია, რომელიც შვიდ ზღვას გადაიფრენს, მაღალი იეკის ყინულოვანი მწვერვალებიდან როთის ცეცხლოვან ნაპირებამდე. არა, არა, ახალ ამბავს ვეღარ მოგიყვები. მოდი ეს ხვალისთვის გადავლოთ.

ჯონათანმა საუზმე მოათავა და მოხუცებს მადლობა გადაუხადა დიდებული მასპინძლობისათვის. როდესაც გამოსამშვიდობებლად კართან მივიდნენ, მოხუცმა კაცმა უთხრა:

– თუ ოდესმე რაიმე დაგჭირდეს, ჩვენ შენს ბებია და ბაბუად გვიგულე.